პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის --- ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

აპარატის უფროსის: მ/შ მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე: შალვა კილაძე

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
TSKALTUBO MUNICIPALITY PUBLIC HELTH CENTER
384054 ქ.წყალტუბო რუსთაველის ქ.N25
384054, GEORGIA TSKHALTUBO RUSTAVELI ST N25
ტელ. (0436) 22–28–08 მობ.(599) 971745

35-34-2-202507111304

N 34/35

11.07.2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2025 წლის I-II კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი თან ერთვის

პატივისცემით

მანანა ტყეშელაშვილი

მმართველი

ანგარიში

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 საშტატო ერთეულით. 2024 წლის ივლისის თვიდან გადავედით დელეგირებულ დაფინანსებაზე მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე განისაზღვრა 13 საშტატო ერთეული, რომლიდანაც 12 თანამშრომელი აყვანილია ხელშეკრულებით ხოლო მეცამეტე თანამშრომელი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი" გვყავს შტატგარეშე.

2025 წელს I-II კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,C"-21 შემთხვევა
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,B"-11 შემთხვევა
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი ,,B" -1 შემთხვევა
სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარიის -38 შემთხვევა
ბრუცელოზი -7 შემთხვევა
სავარაუდო საკვების მიერ მოშხამვა-56 შემთხვევა
ჩუტყვავილა -39 შემთხვევა
ლაიმის დაავადება (ბორელიოზი)-10 შემთხვევა
ტუბერკულოზი -6 შემთხვევა.
ქუნთრუშა 2- შემთხვევა
ლეპტოსპიროზი 27 შემთხვევა.
წითელა 1 შემთხვევა

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2025 წლის I- II კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ) ჩატარებულია შემდეგი სახის აცრები :

ტეტრაქსიმის საწინააღმდეგო- 197 აცრა
წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-198 აცრა
ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო 147 აცრა
როტარიქსის საწინააღმდეგო 114 აცრა
პნევმოკოკური ვაქცინით 201 აცრა
პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 181 აცრა
ჰექსაქსიმის ვაქცინა- 204 აცრა
ანტირაბიული 308 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადება კონტროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან ვაქცინებით. ასევე გამოყოფილი იყო აბი ანტივირუსული პრეპარატი ტამიფლუ, რომელიც განსაზღრული ი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, რომელიც სრულად გაიხარჯა. C ჰეპატიტის ტესტირება გაუკეთდა 152 ბენეფიციარს, აქედან პირველადი დადებითი 1

კურორტში შემოვიდა მთავრობის განკარგულება N 233 რომელიც ითვალისწინებ კურორტის ტერიტორიაზე: მაღალი რისკის შემცველ დაწესებულებებში: C ჰეპატიტი სკრინინგს და B ჰეპატიტის ვაქცინაციას. დავადგინეთ კონტიგენტი. გამოვითხოვე იმერეთის ზონალური სამსახურისგან C ჰეპატიტის სკრინინგ მასალა და B ჰეპატიტი ვაქცინა.

სკრინინგით სრულად მოვიცავით სასტუმროები N 2 და N 6 აბაზანების პერსონალი B ჰეპატიტით ვაქცინა მოთხოვნის შესაბამისად მიეცათ წყალტუბოს რა საავადმყოფოს ამცრელ კაბინეტს და პოლიკლინიკა დიომედს. ისევე როგორც C ჰეპატიტი B ჰეპატიტის მკურნალობა სახელმწიფოს მიერ არის უფასო.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტ 2025 I- II -კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვლეული იქნა 271 მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 38 პაციენტს, უარყოფითი 233.

2025 წლის I-II კვარტალის ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონები. ასევე შემოწმებული იქნა სკოლების და საბავშო ბაღების სან ჰიგიენური მდგომარეობა. მსოფლიოს საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები შემდეგ თემაზე კიბოს მსოფლიო დღე, შიდსის მსოფლიო დღე, ტუბერკულოზის მსოფლიო დღე. საქართველო თამბაქოს გარეშე, მალარიის მსოფლიო დღე,ჰიპერტენზიის მსოფლიო დღე, სისხლის დონორთა მსოფლიო დღე, ამ დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები აღნიშნულ თემებზე და დარიგდა ბუკლეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

2025 წლის I-II კვარტლის ენტომოლოგის ანგარიში. შემოწმებული და დამუშავებული იქნა ქალაქის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჭაობების, ღია და დახურული წყალსატევები საკადასტრო რუქის შექმნით.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2025 წლის I-II კვარტალში საფინანსო მონაცემები შეადგენს.

№	პარაგრაფის დასახელება		
1	თანამდებობრივი სარგო	გეგმა	ფაქტიური
		117784	117290

2	ოფისის ხარჯი	17161	8525
3	კომუნალური	3005	2510
4	სხვა ხარჯები	5752	3176
5	ტრანსპორტის ხარჯი	8440	3359
	ჯამი	152142	134860

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მმართველი: მ. ტყეშელაშვილი.